ოლიმპიადა მშობლიურ ენაში
I ტური
მე-2 კლასი

სავარჯიშო I. ქართული ანბანი, დამარცვლა და გადატანა
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (30 ქულა)

1. რამდენი ასო-ბგერა გვაქვს ქართულ ანბანში?
ა) ოცი ბ) ოცდათოთხმეტი გ) ოცდაცამეტი
2. რომელია ანბანის მეშვიდე ასო-ბგერა?
ა) დ ბ) ხ გ) ზ
3. რომელია ანბანის მეათე ასო-ბგერა?
ა) უ ბ) კ გ) პ
4. რა არის სახელწოდება ასო-ბგერისა „დ“?
ა) დენ ბ) დონ გ) დინ
5. რა არის სახელწოდება ასო-ბგერისა „ნ“?
ა) ნარ ბ) ნორ გ) ნურ
6. რამდენი თანხმოვანია სიტყვაში „დაგვიანებული“?
ა) ხუთი ბ) ექვსი გ) შვიდი
7. რამდენი ხმოვანია სიტყვაში „გაბედნიერებული“?
ა) ხუთი ბ) ექვსი გ) შვიდი
8. რამდენმარცვლიანია სიტყვები: დოღი, მდოგვი, გვიმრა?
ა) ერთმარცვლიანი ბ) ორმარცვლიანი გ) სამმარცვლიანი
9. რამდენმარცვლიანია სიტყვები: დახატული, დარაზმული, დათბილული?
ა) ოთხი ბ) ხუთი გ) ექვსი
10. რამდენმარცვლიანია წინადადება: „ენძელამ თვალი გაახილა“?
ა) ხუთი ბ) რვა გ) ცხრა

სავარჯიშო II. სახელები და მათი კითხვები: მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები და მათი კითხვები.
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (30 ქულა)

11. რამდენი სულიერი არსებითი სახელია წინადადებაში: „გოგონებმა მოხუცს კალათა გამოართვეს“?
ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
12. რამდენი უსულო არსებითი სახელია წინადადებაში: ,,მაგიდას ამშვენებდა თეთრი ლარნაკი და მასში ჩაწყობილი გვირილები“?
ა) ხუთი ბ) ოთხი გ) სამი
13. რამდენ სიტყვას დაესმის კითხვა - ვინ? წინადადებაში:
„მეზღვაურები და გემის კაპიტანი სუფრას მისხდომოდნენ.''
ა) ერთს ბ) სამს გ) ორს

14. რამდენ სიტყვას დაესმის კითხვა - რა? წინადადებაში:
„გოგონას ფანქრები და რვეულები უყიდეს.“
ა) ორს ბ) სამს გ) ოთხს
15. „ბოროტი დედაბერი გერს მუდამ ჩაგრავდა.“ - ხაზგასმულ სიტყვას დაესმის კითხვა:
ა) რამდენი? ბ) რა? გ) როგორი?
16. „ნაღვლიანი ბიჭი გზას მიუყვებოდა.“ - ხაზგასმულ სიტყვას დაესმის კითხვა:
ა) სად? ბ) როგორი? გ) რამდენი?
17. „გლეხი მუდამ მღეროდა გულში.“ - ხაზგასმულ სიტყვას დაესმის კითხვა:
ა) რა? ბ) რას შვრებოდა? გ) ვინ?
18. ,,ძაღლმა გოგონა გადაარჩინა.“ - ხაზგასმულ სიტყვას დაესმის კითხვა?
ა) რა ქნა? ბ) ვინ? გ) რამდენი?
19. რომელი სიტყვა არ არის საკუთარი სახელი?
ა) თბილისი ბ) ბორჯომი გ) ქალაქი
20. ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელია საკუთარი სახელი?
ა) ეკატერინე ბ) მასწავლებელი გ) ექიმი

სავარჯიშო ალტასგან. გისურვებთ წარმატებას!

სავარჯიშო III. სასვენი ნიშნები
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

21. რა სასვენი ნიშანი უნდა დავწეროთ წინადადების ბოლოს: ,,რამდენი კინგსელია სკოლაში ”
ა) მძიმე ბ) ორწერტილი გ) კითხვის ნიშანი
22. რა სასვენ ნიშანს ვწერთ წინადადების ბოლოს, რომლის აზრი დასრულებულია?
ა) ორწერტილს ბ) წერტილს გ) კითხვის ნიშანს
23. რა სასვენ ნიშანს ვწერთ კითხვითი წინადადების ბოლოს?
ა) კითხვის ნიშანს ბ) მძიმეს გ) წერტილ-მძიმეს
24. რა სასვენ ნიშანს ვწერთ ჩამოთვლის წინ?
ა) სამწერტილს ბ) ორწერტილს გ) წერტილს
25. სწორად დაწერილი სასვენი ნიშანი არის:
ა) დედ-მამა ბ) დედ:მამა გ) დედ ; მამა

სავარჯიშო IV. სიტყვათა მართლწერა, სიტყვათა აზრობრივი დაკავშირება
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)
26. რომელია არასწორად დაწერილი სიტყვათა წყვილი?
ა) და-ძმა ბ) დედმამა გ) მთა-ბარი
27. რომელია სწორად დაწერილი სიტყვა?
ა) მექვსე ბ) მეექსვე გ) მეექვსე

28. რომელია სწორად დაწერილი სიტყვა?

ა) ბავში ბ) ბავშვი გ) ბოვში

29. რომელია <u>არასწორი</u> შესიტყვება?

ა) კრუხი-წიწილა ბ) ძაღლი-ლეკვი გ) კატა-გოჭი

30. რომელია <u>სწორი</u> შესიტყვება?

ა) სკოლა-მოსწავლე ბ) აქლემი-წიწილა გ) ხარი-ბარტყი

100 ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 4 ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

ბონუს სავარჯიშო.
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

ბონუს შეკითხვა ავერსისგან

31. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა: "ავერსის" მისიაა, გაუმარტივოს ადამიანებს ….. და სხვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

ა) კუთვნილ ბ) სხვის გ) საკუთარ

32. როგორ მთავრდება ზღაპარი?

ა) „ჭირი - იქა, ლხინი - აქა, ქატო - იქა, ფქვილი - აქა...“

ბ) „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა...“

გ) ანდაზით

33. დაასრულეთ ანდაზა: „რაც არ გერგება, ...“

ა) არ შეგერგება ბ) სხვას შეერგება გ) მაინც შეგერგება

34. დაასრულეთ ანდაზა: „კარგი შვილი ....“

ა) დედას ახარებსო ბ) დედას უყვარსო გ) დედის გულის ვარდიაო

35. რომელია სწორი?

ა) ხბო კნავის ბ) კუ დაფრინავს გ) მამალი ყივის